საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030612766985019

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/1425 **16 / აპრილი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტროს
ანალიტიკის, ადამიანური რესურსების
მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის მოადგილეს
ქალბატონ თამარ ბასილიას

ქალბატონო თამარ,

სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა განიხილა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან გადმოგზავნილი საქართველოს პარლამენტის წევრის სერგი კაპანაძის 2019 წლის 11 აპრილის წერილი N4336/1-6/19, რომლის მიხედვით საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, მოთხოვნილია ექსელის (excel) დოკუმენტში დამუშავებული ონკოლოგიურ დაავადებათა სტატისტიკა ჩაშლილი საქართველოს მუნიციპალიტეტებისა და წლების მიხედვით 2010 წლიდან დღემდე. ხოლო მუნიციპალიტეტების მიხედვით დამუშავებული მონაცემების არარსებობის შემთხვევაში, მაქსიმალურად მიახლოებული გეოგრაფიული სტატისტიკა.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ 2010-2014 წლებში მონაცემები ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების შესახებ გროვდებოდა აგრეგირებული ფორმით, წელიწადში ერთხელ. საქართველოში, უკანასკნელ წლებში განხორციელებული რეფორმების შედეგად, მოხდა დისპანსერული აღრიცხვიანობის სისტემის მოშლა და ონკოლოგიური პაციენტების ოჯახის ექიმებთან მეთვალყურეობაზე გადაცემა, რამაც, სავარაუდოდ, გამოიწვია ავთვისებიანი სიმსივნეების რეგისტრაციის გართულება და გავრცელების რეალური სურათის დამახინჯება, რაც გამოიხატა ავთვისებიანი სიმსივნეებით ავადობის ტვირთის არასათანადოდ დაბალი მაჩვენებლებით გლობალურ, განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით.

2015 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა კიბოს პოპულაციური რეგისტრი, რეგისტრის შემოღებამ შეცვალა მონაცემთა შეგროვების ტექნოლოგია - დაინერგა პერსონიფიცირებულ მონაცემთა სისტემა; აღნიშნულმა გამოიწვია მკვეთრი სხვაობები წინა წლებში და 2015 წლიდან აღრიცხულ შემთხვევათა შორის, მაჩვენებლები მიუახლოვდა საქართველოს შესახებ საერთაშორისო შეფასებებს.

თანდართული დანართის სახით წარმოგიდგენთ დოკუმენტს, რომელიც მოიცავს კიბოს პოპულაციური რეგისტრის 2015-2017 წლების მონაცემების ანალიზს. ამჟამად მიმდინარეობს 2018 წლის მონაცემთა ხარისხზე მუშაობა და, შესაბამისად, მონაცემთა ბაზის გაწმენდა/კორექტირება, ამგვარად, მოკლებული ვართ შესაძლებლობას წარმოგიდგინოთ 2018 წლის დეტალიზებული მონაცემები. აღნიშნული ხელმისაწვდომი იქნება მიმდინარე წლის ივნისში.

პატივისცემით,

სამმართველოს უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ხათუნა ფირანიშვილი